აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა მშობლების მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების საჭიროება, მათი შვილებისათვის მოქმედი პროგრამებისს ეფექტურობის გასაზრდელად

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბობღიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

29.06.2022

აბსტრაქტი

საქართველოს საჯარო პოლიტიკისათვის, კერძოდ ჯანდაცვის სისტემისთვის, ბოლო 7 წელია აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე ბავშვების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მნიშნველოვანი რესურსები იხარჯება ბავშვებისათვის სხვადასხვა თერაპიული მომსახურებების მიწოდებაზე. მიუხედავად ამისა, არაა გათვალისწინებული ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც შესაძლოა აღნიშნული რესურსების მარგი ქმედების კოეფიციენტი საგრძნობლად შეამციროს. ეს ფაქტორი არის ასა-ს მქონე ბავშვის მშობლების/მეურვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც წარმოადგენს ბავშვის სოციალური გარემოს კრიტიკულად მნიშვნელოვან განმაპირობებელს.

მიზანი: კვლევის მიზანია, აჩვენოს ასა-ს მქონე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაციის წარმატებული განხორციელებისათვის სისტემური მიდგომის მნიშვნელობის ხარისხი, რაც უზრუნველყობს საჯარო რესურსების მეტად რაციონალურად გამოყენებასა და სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის გაზრდას.

მეთოდი: საკვლევ მეთოდად გამოვიყენე ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, იმ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო პროგრამაში და მათ შვილებს, სამთავრობო დადგენილების მიხედვით, უფინანსდებათ თვეში 20 თერაპიული საათი.

დასკვნა: აღნიშნული კვლევით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქმები პროგრამების ეფექტურობა გაიზრდება თუ ამოქმედდება მშობლების ფსიქოლოგიური მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები.

მადლობა

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, დედაჩემსა და ჩემს მეგობრებს, რომლებიც გვერდში მედგნენ ამ სამაგისტრო ნაშრომის წერის დროს.

განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ქეთევან მაყაშვილსა და ნინო შარიას, რომელთა დახმარების გარეშე ეს ნაშრომი არ იარსებებდა.